

სახაზინო სამსახურის
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
საქართველოს 2018 წლის იანვარ-ნოემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის
შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი
საღდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2018 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 10 678 637.7 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 9 499 191.8 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 90 066.4 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 99 087.7 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 990 291.7 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-ნოემბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (9 499 191.8 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (10 314 248.0 ათასი ლარი) 92.1%; მათ შორის:

გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 9 490 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 8 724 471.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 91.9%; მათ შორის:

„გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 410 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 301 669.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.8%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 780 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 626 950.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 94.5%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ (674 719.2 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (630 000.0 ათასი ლარი) 107.1%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 16.0 ათასი ლარი.

„გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 5 850 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 5 338 096.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.2%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 4 400 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 4 044 268.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 91.9%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1 293 828.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 450 000.0 ათასი ლარი) 89.2%-ია;

„გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 60 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 67 368.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 112.3%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-ნოემბერში შეადგინა

17 321.3 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდის გაუქმებისა და გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდის ამოქმედების შედეგად, გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 414 248.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 367 069.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.6%-ია; მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა მინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 108 628.3 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 137 680.1 ათასი ლარი;

– „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 თავის, 34-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილი – 47 337.8 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 15 276.7 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 58 146.3 ათასი ლარი (მათ შორის, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 1 453.9 ათასი ლარი).

„სხვა შემოსავლების“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 410 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 407 651.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 99.4%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 8 461.4 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2018 წლის იანვარ-ნოემბერში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (90 066.4 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (60 000.0 ათასი ლარი) 150.1%;

მათ შორის:

- შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (72 677.6 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (55 500.0 ათასი ლარი) 131%;
- შემოსულობებმა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან შეადგინა 10.2 ათასი ლარი;
- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (17 378.7 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (4 500.0 ათასი ლარი) 386.2%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 6 610.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 220.3%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 10 768.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (1 500.0 ათასი ლარი) 717.9%. „ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 99 087.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (80 000.0 ათასი ლარი) 123.9%-ია.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 990 291.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (1 986 750.0 ათასი ლარი) 49.8 %-ია; მათ შორის:

- საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტიურად მიღებული იქნა – 331 734.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (400 000.0 ათასი ლარი) 82.9%-ია;
- საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 658 557.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (1 586 750.0 ათასი ლარი) 41.5%-ია; მათ შორის:
- საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები - 471 639.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 236 750.0 ათასი ლარი) 38.1%-ია; მათ შორის:

- ინვესტიციური კრედიტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 236 875.9 ათასი ლარი;

- სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 234 763.1 ათასი ლარი.

- საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 186 918.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (350 000.0 ათასი ლარი) 53.4%-ია.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 212 228.3 ათასი ლარი, რომელიც ჩარიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ, ხარჯების გაწევის შესაბამისად, ხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ბიუჯეტის შემოსულობებში მიმართვა.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების

წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2018 წლის იანვარ-ნოემბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში, ასახული იქნა წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 445.9 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2018 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 557 972.5 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 557 888.7 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 83.8 ათასი ლარი („დაცული ტერიტორიების განვითარება“ გრანტი).

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2018 წლის 1 დეკემბრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 1 069 844.4 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 1 069 135.6 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 708.8 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად, სულ 135 002.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსდა კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301-ე დადგენილების „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“, თანახმად, ხაზინის განკარგულებაში არსებული სახსრებიდან, 810 000.0 ათასი ლარი განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 511 872.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2018 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 9 499 191.8 ათასი ლარის მოცულობით (წლიური გეგმა 10 314 248.0 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 8 166 824.2 ათასი ლარი (წლიური გეგმა 9 365 898.8 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 1 332 367.6 ათასი ლარი, წლიური გეგმა 948 349.2 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 1 037 391.3 ათასი ლარი. მათ

შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით 90 066.4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით - 1 127 457.7 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა 294 976.3 ათასი ლარი, წლიური გეგმა -928 810.1 ათასი ლარი (უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2017 წლის 28 დეკემბრის №481 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2018 წლის წლიური გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 12 459 500.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 11 058 502.0 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 1 400 998.0 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებულია 10 845 751.4 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 10 166 765.7 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 9 528 841.8 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 637 923.9 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 93.7%-ს, ხოლო გეგმის 81.6%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2018 წლის იანვარ-ნოემბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 93.7%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 6.3%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულია 1 399 173.0 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1

375 189.6 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 260 386.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 90.1%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2018 წლის გეგმით განსაზღვრულია 1 256 380.4 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 1 154 968.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 103 147.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.5%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 87.8%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულია 544 205.4 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 515 850.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 481 138.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.4% და ვალდებულების 93.3%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 244 330.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (271 457.4 ათასი ლარი) 90%-ია;

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 236 807.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (244 393.2 ათასი ლარი) 96.9%-ს შეადგენს;

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის გეგმამ შეადგინა 425 955.6 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 368 282.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ 360 473.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.9%-ს და გეგმის 84.6%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2018 წლის გეგმით განისაზღვრა 52 095.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 52 084.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.97% და ვალდებულების (52 084.0 ათასი ლარი) 100%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის გეგმამ შეადგინა 1 121 219.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 908 165.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (953 304.5 ათასი ლარი) 97.1% და საგეგმო მაჩვენებლის 81%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2018 წლის იანვარ-ნოემბერში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 848 516.1 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების 862 585.0 ათასი ლარი) 98.4%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2018 წლის იანვარ-ნოემბერში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 3 111 691.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (3 316 884.3 ათასი ლარი) 93.8% და საგეგმო პარამეტრის 3 494 561.4 ათასი ლარი) 89%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის გეგმით განისაზღვრა 2 454 471.3 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 2 221 092.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.5%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 572 672.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 699 956.1 ათასი ლარი) და გეგმის 92.5%-ია; მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 677 042.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 587 283.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.7% და ვალდებულების (649 791.6 ათასი ლარი) 90.4%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 905 082.9

ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 837 690.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 92.6 და ვალდებულების (838 333.9 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2018 წლის გეგმა განისაზღვრა 1 124 403.4 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 019 006.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 941 821.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92.4%-ს და გეგმის 83.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 595 287.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 539 812.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.7% და ვალდებულების (592 923.1 ათასი ლარი) 91%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2018 წლის გეგმით განისაზღვრა 1 937 159.3 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 145 880.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 1 127 457.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.4%-ს და გეგმის 58.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 1 139 887.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 491 385.8 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (485 581.0 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 98.8% და საგეგმო მაჩვენებლის – 42.6%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“, 2018 წლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 390 527.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 268 857.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 257 842.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.9%-ს და გეგმის 66%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2018 წლის გეგმით განისაზღვრა 765 914.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 745 527.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 614 641.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 82.4% და გეგმის 80.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 27 082.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (35 082.0 ათასი ლარი) 77.2%-ია;
- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 587 559.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (710 445.2 ათასი ლარი) 82.7%-ია.

ორგანიზაციული კოდეხის მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად (პირდაპირი ჩარიცხვები).

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 36 603.9 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 555.9 ათასი ლარი;
- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი“ – 32 776.4 ათასი ლარი;
- „ქუთაისის წყალარინების პროექტი“ – 35.1 ათასი ლარი;
- „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი“ – 3 236.5 ათასი ლარი.

„სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2018 წლის პირველი დეკემბრისთვის შეადგინა 180.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2018 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 9 294 282.0 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 738 412.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (2 078 636.7 ათასი ლარი) 83.6%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 301 753.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (352 979.9 ათასი ლარი) 85.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17.3%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 485 635.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (563 587.5 ათასი ლარი) 86.2% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 27.9%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულია 716 808.5 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 649 819.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (9 294 282.0 ათასი ლარი) 7%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2018 წლის გეგმით განსაზღვრულია 1 136 622.4 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 012 042.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 89%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.9%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 556 721.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (605 787.8 ათასი ლარი) 91.9%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (108 964.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (132 096.4 ათასი ლარი) 82.5%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 116 214.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (138 179.9 ათასი ლარი) 84.1%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულია 1 933 457.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 092 560.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 56.5%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (43 639.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (66 055.8 ათასი ლარი) 66.1%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (173 657.2 ათასი ლარი), გეგმის (200 392.9 ათასი ლარი) 86.7% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 1 352 865.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 638 762.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 47.2%.

გარემოს დაცვის ხაზით 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულია 65 315.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 53 164.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 81.4%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულია 36 452.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 23 680.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 65%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 7 173.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 4 753.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 66.3%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2018 წლის გეგმით განსაზღვრულია 1 086 257.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 992 536.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.7%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 758 935.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (725 566.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 95.6%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (149 765.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (160 216.6 ათასი ლარი) 93.5%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 35 922.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (50 435.2 ათასი ლარი) 71.2%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 295 094.7 ათასი ლარით, რაც 2018 წლის გეგმიური მაჩვენებლის (325 162.1 ათასი ლარი) 90.7%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 54 056.4 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (49 218.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 91%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებულია 1 239 731.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 087 029.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.7% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.7%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 549 581.7 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (606 507.8 ათასი ლარი) 90.6%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 133 320.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (155 168.8 ათასი ლარი) 85.9%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით წლიური გეგმით განსაზღვრულია 2 684 614.9 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 349 940.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 25.3%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 730 961.0

ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 599 649.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 92.4%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 599 303.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (695 065.0 ათასი ლარი) 86.2%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ასხუთ შემთხვევაში შეადგინა სულ 4 331.7 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 4 182.5 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2018 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 149.2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდაათ შემთხვევაში შეადგინა სულ 46 071.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 36 554.6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 დეკემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 9 517.2 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ თორმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 178 198.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 151 483.0 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 დეკემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 26 715.9 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოთხ შემთხვევაში შეადგინა სულ 14 482.1 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 5 262.0 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 დეკემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 9 220.1 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 35 000.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 46 097.7 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად განისაზღვრა 15 000.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 14 550.4 ათასი ლარი, („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის“ სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა - 14 550.4 ათასი ლარი), წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 20 000.0 ათასი ლარი. აქედან: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 117.7 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 117.7 ათასი ლარი), თავდაცვის სამინისტროს 229.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 229.6 ათასი ლარი), ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერებისთვის გამოიყო 232.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 232.6 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 19 420.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 4 535.5 ათასი ლარი).

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად საკასო ხარჯმა შეადგინა 26 431.9 ათასი ლარი, მათ შორის, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა – 1 386.1 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 4 535.5 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2018 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.